№ 140.297
Date 31/05/2024

ს.ს.ი.ბ. გარემოს ეროვნული სააგენტო
-04- 06 2024 წ.
№ 7559

RMG COPPER

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ სს „არ ემ ჯი კოპერს" დაგეგმილი აქვს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „არ ემ ჯი კოპერის" მადნის გამამდიდრებელი არსებული ფაბრიკის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი კუდების მართვის მიზნით, მშრალი კუდების სანაყაროს და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სს „არ ემ ჯი კოპერმა" 2024 წლის 13 თებერვალს N132.237 სკოპინგის განცხადებით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. 2024 წლის 12 აპრილის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის N197/ს ბრძანებით, აღნიშნულ საქმიანობაზე გაცემულ იქნა N27 სკოპინგის დასკვნა, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უზრუნველყო დაგეგმილი საქმიანობის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „არ ემ ჯი კოპერის" მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი კუდების მართვის მიზნით, მშრალი კუდების სანაყაროს და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გთხოვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია.

დანართები:

1. „ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „არ ემ ჯი კოპერის" მადნის გამამდიდრებელი არსებული ფაბრიკის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი კუდების მართვის მიზნით მშრალი კუდების სანაყაროს და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში" – 1 (ერთი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების პროექტი - 2 (ორი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);
3. ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების

სს არ ემ ჯი კოპერი I JSC RMG Copper (ს/კ - ID:225358341)
ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი, 1103; I 1103, Kazreti Settlement, Bolnisi Municipality, Georgia
ტელ: I Tel: (+995 32) 247 45 45; ელ.ფოსტა: I Email: info@richmetalsgroup.com
ვებ-გვერდი: I Web page: www.richmetalsgroup.com

გაანგარიშების პროექტი - 2 (ორი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);

4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ GIS (გეოინფორმაციული სისტემები) Shape ფაილები, კოორდინატების მითითებით - დისკი (CD) 1 (ერთი) ცალი;
5. ტყეკაფის აღრიცხვის მასალები - 1 (ერთი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია, ელექტრონული ვერსია 1 (ერთი) დისკი (CD);
6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
7. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - 1 (ერთი) ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია.

პატივისცემით,

ჯონდო შუბითიძე

აღმასრულებელი დირექტორი

JSC RMG Copper, GEORGIA
RMG COPPER
* 225358341 *